ქ. თბილისი 27 / 01 / 2015

თამარ სამნიძე

პასიური საარჩევნო უფლების ასაკობრივი ცენზი

სარჩევი

შესავალი.....
3

1. საარჩევნო უფლების ისტორიული შეზღუდვები.....4

2. საარჩევნო სისტემაში არსებული ცენზები.....6

3. პასიური საარჩევნო უფლების ასაკობრივი ცენზის შეფასება.....9

დასკვნა.....10

გამოყენებული ლიტერატურა.....11

შესავალი

სამართლიანი არჩევნები ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ის უმთავრესი ნაწილია, რომლითაც განისაზღვრება საზოგადოების და მთლიანად სახელმწიფოს მომავალი. დემოკრატია მმართველობას ნიშნავს და მისი კლასიკური მოდელი ანტიკური ათენიდან მომდინარეობს. კლასიკური დემოკრატიის მოდელი ფუნქციონირებდა ისეთ საზოგადოებაში, სადაც ნებისმიერ თავისუფალ ადამიანს ჰქონდა უფლება მონაწილეობა მიეღო მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში და შესაძლებლობა ცხოვრებაში ორჯერ მაინც ყოფილიყო არჩეული. თუმცა, ასეთ თავისუფალ ადამიანებს შორის ვერ ხვდებოდნენ ქალები და მონები. [1] განვლო საუკუნებმა და აღნიშნულ მოდელთან ერთად დაიხვეწა საარჩევნო სისტემაც, მოხდა არსებული ცენზების გადახარისხება. ამ და უამრავი ფაქტორის გათვალისწინებით კი, ქვეყნებმა განსხვავებულ დემოკრატიის ხარისხს მიაღწიეს. არსებობენ სახელმწიფოები, რომლებიც ჯერ კიდევ დემოკრატიზაციის გზაზე დგანან, მათ შორის საქართველოც.

უდავოა საკითხი, რომ არჩევნებში ასახული უნდა იყოს როგორც მასის მმართველობის, ასევე ინდივიდუალიზმის იდეა. საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლით უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება და საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლის შესაბამისად კი, აღნიშნული დოკუმენტის მე-2 მუხლში ნახსენები დისკრიმინაციის და დაუსაბუთებელ შეზღუდვათა გარეშე თითოეულ მოქალაქეს უნდა ჰქოდეს უფლება და შესაძლებლობა მონაწილეობდეს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლობის საშუალებით, მისცეს ხმა და არჩეულ იქნეს ნამდვილ პერიოდულ არჩევნებში, თავის

[1] ანნა, ბაღბაია. *,,დემოკრატია და რეალობა''*(21.12.2014)
http://socium.ge/index.php/articles/student-articles/81-demokratia-da-realoba

ქვეყანაში თანასწორობის საერთო პირობებით შეეძლოს სახელმწიფო სამსახურში შესვლა.

სწორედ, საკითხის ამგვარი დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში საუბარია საარჩევნო უფლების ისტორიულ შეზღუდვებზე, საარჩევნო სისტემაში არსებულ ცენზებზე და შეფასებულია პასიურ საარჩევნო უფლების ასაკობრივი ცენზი საქართველოში.

1. საარჩევნო უფლების ისტორიული შეზღუდვები

1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია დაამტკიცა. ამ დოკუმენტის მიღების თარიღი კი, აღინიშნება ყოველწლიურად, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ეხება როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. კერძოდ, ამ დოკუმენტით გათვალისწინებულია სიცოცხლისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებები, გარანტირებულია მიმოწერის საიდუმლოება, მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ დაცვის უფლება, საარჩევნო უფლება და სხვა. მართალია საყოველთაო დეკლარაცია არ არის იურიდიულად სავალდებულო და სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, მაგრამ მისი დაცვა თითქმის ყველა ქვეყანამ მისთვის სავალდებულო ნორმების შემცველ საერთაშორისო ჩვეულებით სამართლად აქცია.

1948 წლის ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის'' 21 მუხლის მიხედვით:

,,ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ან/და თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფოს სამსახურში. ხალხის ნება მთავრობის ძალაუფლების საფუძველია: ეს ნება გამოხატული უნდა იყოს პერიოდული და ჭეშმარიტი არჩევნების მეშვეობით, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს საყოველთაო და თანასწორ ხმის უფლებას

და უნდა ჩატარდეს ფარული კენჭისყრით, ან ხმის მიცემის ეკვივალენტური თავისუფალი პროცედურის გამოყენებით.''

ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ძველ საბერძნეთსა და რომში განისაზღვრა არჩევითი თანამდებობების ჩამონათვალი, ხმის მიცემის ორი ეტაპი: ფარული და ღია, არჩევნების ჩატარების დრო და შუალედი, იმ იურიდიული ნორმების წერილობითი დაფიქსირება, რომლებიც არჩევნების ჩასატარებლად იყო საჭირო. ასევე, ჩამოყალიბდა ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლითაც განისაზღვრებოდა ამომრჩევლებისა და არჩევითი თანამდებობების დაკავების სამართლებრივი სტატუსი. აშკარაა, რომ არჩევითობა და ხალხის ხმის მიცემის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება თავიდანვე იყო დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი.

თუმცა, თანამედროვე საარჩევნო სისტემა მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა, რომელსაც საფუძველი 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციამ ჩაუყარა. საყოველთაო საარჩევნო უფლების დამკვიდრებას საუკუნეზე მეტ ხანს ეწინააღმდეგებოდნენ მონარქისტული და არისტოკრატიული წრეები. იმ პერიოდშიც არსებობდა კრიტერიუმები რის მიხედვითაც, იზღუდებოდა მოქალაქეთა საარჩევნო უფლებები:

- ქონებრივი ცენზი - მოქალაქეს ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით ენიჭებოდა საარჩევნო უფლება.
- ასაკობრივი ცენზი - ყველაზე მცირე ასაკი 17 წელი შვეიცარიაში იყო დაწესებული. ყველაზე მაღალი კი საფრანგეთსა და დანიაში - 30 წელი. პორტუგალიასა და დიდ ბრიტანეთში კი არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ დაოჯახებულ მამაკაცებს ჰქონდათ.
- პროფესიონალური მოღვაწეობა - ხმის მიცემის უფლება არ ჰქონდათ სამხედროებს.
- ბინადრობის ცენზი - დადგენილი იყო მუდმივი ცხოვრების ვადა ერთ დასახლებულ პუნქტში.
- განათლების დონე - საფრანგეთში, იტალიასა და პორტუგალიაში ხმის მიცემის უფლება მხოლოდ მათ ჰქონდათ, ვინც წერა-კითხვა იცოდა.
- მოქალაქეთა რელიგიური აღმსარებლობა - გერმანიაში საარჩევნო უფლება მხოლოდ ქრისტიანებს ჰქონდათ, ესპანეთში - კათოლიკებს.
- არჩევნებში ქალების მონაწილეობა - ქალებს არ ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება. მათ ეს უფლება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მოიპოვეს, თუმცა

შვეიცარიაში ქალებს ხმის მიცემის უფლება მხოლოდ 1971 წელს მიეცათ, ლიხტენშტეინში კი 1986 წელს.[2]

1832 წელს დიდ ბრიტანეთში, პარლამენტმა დაადგინა რომ პირს არ ექნებოდა საარჩევნო უფლება, თუ ის სათანადო დროს არ იქნებოდა ამომრჩეველთა სიაში დარეგისტრირებული. მე-19 საუკუნის 30-40 წლებიდან კი რიგ ქვეყნებში ისევ შეიქმნა ახალი საარჩევნო კანონმდებლობა, რომელიც საყოველთაობის და თანასწორობის პრინციპებს ემყარებოდა და დაიწყო ბრძოლა დაწესებული ცენზების წინააღმდეგ.

2. საარჩევნო სისტემაში არსებული ცენზები

საარჩევნო სამართალი ხუთ ძირითად პრინციპს ეყრდნობა, ესენია:

- ✓ საყოველთაო საარჩევნო უფლება;
- ✓ თანასწორი საარჩევნო უფლება;
- ✓ პირდაპირი საარჩევნო უფლება;
- ✓ კენჭისყრის ფარულობა;
- ✓ ნების თავისუფალი გამოვლენა;

სწორედ, აღნიშნული პრინციპების დაცვა უზრუნველყოფს დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, თუმცა მას თან ახლავს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების ცენზები. აქტიური საარჩევნო უფლება ნიშნავს არჩევით სახელმწიფო ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში კანდიდატების არჩევის უფლებას, აგრეთვე რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლებას. პასიური საარჩევნო უფლება კი ნიშნავს მოქალაქის უფლებას, იყოს არჩეული არჩევით სახელმწიფო ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

მაგალითად, საყოველთაო საარჩევნო უფლების ზოგადი განმარტების თანახმად არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა

[2] Choice ,,არჩევნების ისტორია'' (22.12.2014)
http://election-choice.blogspot.com/2011/12/blog-post_05.html

სრულწლოვან მოქალაქეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყნის მთელი მოსახლეობა მიიღებს მასში მონაწილეობას, რადგან საარჩევნო სამართალს შემოაქვს საარჩევნო პროცესის მარეგულირებელი შემზღუდველი ნორმების მთელი სისტემა ე. წ. ცენზების სახით.

საარჩევნო ცენზი ეს არის, არის კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი შემზღუდველი პირობები, რომლებიც განსაზღვრავს საარჩევნო უფლების მქონე პირთა წრეს. ისინი ძირითადად ტექნიკურ, დისკრიმინაციულ და დამცავ სახეებად იყოფა და მოიცავს შემდეგ ცენზებს:

ტექნიკური ცენზები:

მოქალაქეობის ცენზი, რომლის თანახმად საქართველოში საარჩევნო უფლება გააჩნია საქართველოს მოქალაქეს. 2014 წლის 1 იანვრამდე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად ჰქონდათ შესაბამისი ასაკის პირებს, რომლებიც დაბადებულნი არიან და ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობდნენ საქართველოში, ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის 104[4] მუხლის ამოქმედების მომენტისათვის (29.05.2012) ჰქონდათ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა.

ბინადრობის ცენზი, გულისხმობს სახელმწიფოში ან მის ადმინისტრაციულ ერთეულში ცხოვრების მინიმალურ დროს, რომლის შემდეგაც პირი იღებს საარჩევნო უფლებას. საქართველოს კანონმდებლობით ბინადრობის ცენზი აქტიური საარჩევნო უფლებისათვის პირდაპირ არ არის განსაზღვრული, თუმცა იგი რეალურად არსებობს. საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი'' 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის მონაცემები შეიტანება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი, მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებული პირი, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან მოხსნილი პირი, აგრეთვე ის პირი, რომლის რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეჰყავთ მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

აქტიური საარჩევნო უფლებისაგან განსხვავებით, პასიური საარჩევნო უფლებისათვის კანონმდებლობა პირდაპირ ადგენს ბინადრობის ვადებს. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში. საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არცერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე; ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრად და აღმასრულებელი ორგანოს თვითმმართველი ქალაქის მერად და თვითმმართველი თემის გამგებლად შეიძლებ აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია სულ ცოტა 5 წელი მაინც, მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში.

ასაკობრივი ცენზი - გულისხმობს კონკრეტულ ასაკს, რომლის მიღწევის შემდეგაც მოქალაქე იძენს საარჩევნო უფლებას. საქართველოს მოქალაქე აქტიურ საარჩევნო უფლებას იძენს 18 წლის ასაკიდან. რაც შეეხება პასიურ საარჩევნო უფლებას, მას პირდაპირი კავშირი აქვს საჯარო ხელისუფლების ცალკეული ორგანოების არჩევნებთან. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან; საქართველოს პარლამენტის წევრად და თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან; თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს - თვითმმართველი ქალაქის მერად, თვითმმართველი თემის გამგებლად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.

განათლების ცენზი - საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს განათლების ცენზს, გარდა სახელმწიფო ენის ცოდნის მოთხოვნისა.

დისკრიმინაციული ცენზი - მოიცავს ქმედუნარიანობისა და მორალურ ცენზებს. საქრთველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი'' თანახმად, აქტიური საარჩევნო უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელსაც

ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული. საქართველოს საარჩევნო კოდექსით, ასევე განისაზღვრა ის საფუძვლები, რომლის არსებობის შემთხვევაშიც პირს შეეზღუდება პასიური საარჩევნო უფლება. მაგალითად: საქართველოს საარჩევნო კოდექსის 111-ე მუხლის თანახმად ,,საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს ნარკომანი ან ნარკოტიკების მომხმარებელი, ხოლო თუ ეს პირი შესაბამისმა საარჩევნო კომისიამ არჩეულად გამოაცხადა, საქართველოს პარლამენტს უფლება არა აქვს, ცნობს მისი უფლებამოსილება. "

დამცავი ცენზი - მოიცავს აურჩევლობისა და შეუთავსებლობის ცენზებს. აღნიშნული ცენზის დაწესების აზრი არის ის, რომ არ მოხდეს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების აღრევა. საქართველოს ორგანული კანონი ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი'' ამომწურავად განსაზღვრავს იმ პირთა ჩამონათვალს, რომლებიც საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირებამდე უნდა გადადგნენ დაკავებული თანამდებობიდან (აურჩევლობის ცენზი).[3]

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას; საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, მათ შორის, პარტიული, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის. ეს შეზღუდვა 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ამოქმედდა. (შეუთავსებლობის ცენზი).

1. პასიური საარჩევნო უფლების ასაკობრივი ცენზის შეფასება

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში აქტიური საარჩევნო უფლება ენიჭებათ 18 წლის ასაკიდან, ხოლო იმისათვის რომ მოქალაქემ კენჭი იყაროს საჯარო

[3] საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი *,,დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის''*2014-2015წწ. გვ.5-7 (19.12.2014)
http://electionreforms.ge/files/library/415.pdf

ხელისუფლების წამომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად სხვადასხვა ასაკობრივი ცენზია დაწესებული. მაგალითად: პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში კი 21 წლის ასაკიდან.

საინტერესოა საკითხი რამდენად მიზანშეწონილია მოქალაქეთა პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციისთვის ამგვარი ასაკობრივი ცენზის დაწესება უმაღლეს საკანონმდებლო და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებში. ვფიქრობ, რომ ორივე შემთხვევაში დღესდღეობით არსებული ზღვარი მაღალია, ვინაიდან 18 წლის მოქალაქეს ვანიჭებთ იმის უფლებას, რომ ხმა მისცეს მისთვის სასურველ კანდიდატს ჩემთვის გაუგებარია, რატომ უნდა შეეზღუდოს მას უფლება თავად იყოს კანდიდატი. იმის გათვალისწინებით, რომ საკანონმდებლო ორგანოს დანიშნულება შემოქმედებითი ხასიათისაა, ვფიქრობ ის არ მოითხოვს მრავალწლიან პროფესიულ ან/და ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

ამავდროულად, არსებული რეგულაციით აქტიური საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეს ვუზღუდავთ შესაძლებლობას მისცეს ხმა მისთვის სასურველ 18 წლის კანდიდატს, რამეთუ აბსოლუტურად შესაძლებელია ამომრჩეველი 18 წლის კანდიდატს უფრო ანდობდეს თავის ხმას, ვიდრე სხვა მაღალი ასაკის მქონე პირს. მაგალითისთვის გერმანიაში, ფინეთში, დანიაში, პორტუგალიაში, ესპანეთსა და შვედეთში პასიური საარჩევნო უფლების მინიმალური ასაკი ყველა დონის არჩევნებისთვის 18 წელია. მიმაჩნია, რომ ასაკობრივი ცენზის შემცირებით საკანონმდებლო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში 18 წლის მოქალაქეებსაც ეყოლებათ თავიანთი წარმომადგენლები, რაც მხოლოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს. ამავდროულად, ამგვარი უფლების მინიჭება, არ უნდა გავიგოთ ისე, რომ თითქოს საკრებულოს ან პარლამენტის წევრთა უმრავლესობა ახალგაზდებით შეივსება. ამ თვალსაზრისით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ სპეციალური კვლევა ჩაატარა და აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ქვეყნების მიერ პასიური საარჩევნო ასაკის შემცირების შედეგად მასშტაბური ცვლილებები არ მომხდარა. მთავარია, კანონმდებლობა მოქალაქეებს აძლევდეს მათთვის სასურველი კანდიდატისთვის ხმის მიცემის უფლებას, ხოლო ის ფაქტი, თუ რამდენად მოხდება ამ ცვლილებების შედეგად დაბალი ასაკის მქონე პირთა წარმომადგენლობითი ორგანოების წევრად არჩევა ისევ ამომრჩევლის ნებაზე იქნება დამოკიდებულ

დასკვნა

მოქალაქის უფლება კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა. ამიტომ იმ დროს, როდესაც ქვეყანას დემოკრატიულ სახელმწიფოდ ქცევის პრეტენზია აქვს აუცილებელია საარჩევნო კანონმდებლობაში გატარდეს ცვლილებები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია 18 წლამდე შემცირდეს პასიური საარჩევნო უფლებისათვის დადგენილი ცენზი, ვინაიდან სწორედ 18 წლიდან იძენს საქართველოს მოქალაქე სრულ სამოქალაქო ქმედუნარიანობას.

საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად 21 წლიანი ასაკობრივი შეზღუდვაა არათანაბარ პირობებში ამყოფებს პასიური საარჩევნო უფლების გამოყენების მსურველ მოქალაქეებს. ამავდროულად, მრავალწლიანი პრაქტიკის გათვალისწინეთ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის ეფექტურობას წევრთა ასაკი ვერ განსაზღვრავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ✓ საქართველოს კონსტიტუცია
- ✓ საერთაშორისო პაქტი ,,სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ''
- ✓ ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია''
- ✓ საქართველოს ორგანული კანონი ,,საარჩევნო კოდექსი''
- ✓ ,,არჩევნების ისტორია“ http://election-choice.blogspot.com/2011/12/blog-post_05.html
- ✓ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი *,,დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის''*2014-2015წწ. გვ.5-7 http://electionreforms.ge/files/library/415.pdf